



2019



შინაარსი CONTENT

დავით თაბაგარის ფოტო | Photo by DaviT Tabagari

01 ვახტანგ გომელაური | VAKHTANG GOMELAURI1

02 „112“-ის და „ერთობლივი ოპერაციების ცენტრის“
ბაერთიანება | MERGER OF 112 AND JOINT OPERATIONS CENTER
.....2-3

03 როგორ შეაფასებდით 112-ის მუშაობას? | YOUR
ASSESSMENT OF 112 PERFORMANCE4-6

04 ინფრასტრუქტურული განვითარება და სამუ-
შაო პირობების გაუმჯობესება | INFRASTRUCTURE DEVELOP-
MENT AND IMPROVING WORK ENVIRONMENT 7

05 პროექტები | PROJECTS8-12

06 ახალი სერვისები და არსებულის გაუმჯობე-
სება | INTRODUCING NEW SERVICES AND REFINING THE EXISTING
ONES13

07 ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა |
FIGHT AGAINST DOMESTIC VIOLENCE.....14

08 სასწავლო ცენტრი | TRAINING CENTER.....15

09 ყოველწლიური ღონისძიებები | ANNUAL EVENTS
.....16-17

10 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
| MEMORANDA OF UNDERSTANDING18

11 საერთაშორისო თანამშრომლობა | INTERNATIONAL
COOPERATION19

12 სოციალური პასუხისმგებლობა | SOCIAL RESPONSIBILITY
.....20

13 შიდა კომუნიკაცია | INTERNAL COMMUNICATION21

14 ერთობლივი ოპერაციების ცენტრი | JOINT OPERA-
TIONS CENTER22-23

15 სამომავლო გეგმები | FUTURE PLANS24

16 სტატისტიკა | STATISTICS24

ვახტანგ გომელაური
შიდახან საქმეთა მინისტრი

VAKHTANG GOMELAURI
MINISTER OF INTERNAL AFFAIRS

01



”

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემური განახლების ფარგლებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთობლივი ოპერაციების ცენტრისა და სსიპ „112“-ის გაერთიანება და მათი სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ად გარდაქმნა. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამ ტიპის ცენტრების ერთ მძლავრ სტრუქტურულ ერთეულად ინტეგრაცია კიდევ უფრო ეფექტიანს ხდის კრიზისული და გადაუდებელი სიტუაციების დროს მოსახლეობისთვის მიწოდებულ სერვისებს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინსტრუმენტებს, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის მეთოდებს.

ახალი ინტეგრირებული ცენტრის ფუნქციები იქნება არა მხოლოდ თითოეული მოქალაქის საჭიროებებზე მორგებული ოპერატიული და გადაუდებელი დახმარების მიწოდება, არამედ, ასევე, საპოლიციო ძალების საინფორმაციო მხარდაჭერა, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, საგზაო უსაფრთხოების განმტკიცება, უსაფრთხო და დაცულ გარემოზე ზრუნვა, რაც შესაძლებელი გახდება თანამედროვე ტექნოლოგიების მაქსიმალური დანერგვით.

მომავალი წლების სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით, ღრმად ვარდარწმუნებული ვარ, რომ გადაუდებელი დახმარების ნომრის - „112“-ის როლი, როგორც გასული წლების განმავლობაში, მომავალშიც განსაკუთრებული იქნება, არამხოლოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებაშიც.“

„Within the frames of System Update of Ministry of Internal Affairs of Georgia, merging Joint Operations Center and LEPL 112 and transforming these two entities into Public Safety Command Center 112, is of utmost importance. The best international practices have displayed that integrating centers similar to the Joint Operations Center and 112 into one structural unit raises the efficiency of fight against crime, prevention and services provided during crises and emergencies.

A new integrated center, along with providing operative and urgent assistance, will also focus on informative assistance to police forces, fighting against domestic violence, enhancing road safety, fostering a safe environment through modern technologies.

Taking next year’s action plan into consideration, I am deeply convinced that the role of single emergency number – 112 in reinforcing the Country’s security will be as special and important as it has been in the last couple of years.“





02

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების პარტიის ცენტრი 112 „112“-ის და „ერთობლივი ოპერაციების ცენტრის“ გაერთიანება

LEPL PUBLIC SAFETY COMMAND CENTER 112 OF THE MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS MERGING OF THE LEPL - 112 AND THE JOINT OPERATIONS CENTER

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემური განახლების ფარგლებში მიმდინარეობს რეფორმა, რომლის მიზანია, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მაქსიმალური კოორდინაციისა და ინციდენტებზე ოპერატიული რეაგირების გაუმჯობესების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფების - „ერთობლივი ოპერაციების ცენტრისა“ და სსიპ „112“-ის გაერთიანება სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრად „112“.

აღნიშნული სსიპ-ი განახორციელებს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული და ეფექტიანი მართვისათვის შესაბამის სატელეფონო მომსახურებას, აგრეთვე 24-საათიან უწყვეტ ვიდეომეთვალყურეობას ქვეყნის მასშტაბით დანაშაულის ჩადენის, დანაშაულის მცდელობის ფაქტის, სამართალდარღვევის დაფიქსირების ადმინისტრირებისა და აგრეთვე საგზაო უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით.

მთავრობა აქტიურად გააგრძელებს მუშაობას თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ეროვნული ვიდეოსამეთვალყურეო და ანალიტიკური სისტემების განვითარებას.

Within the frames of the System Update of the Ministry of Internal Affairs of Georgia, the reform is underway, which aims to merge structural subdivision of MIA – "Joint Operations Center" and LEPL "112" to form Public Safety Command Center 112. The mentioned reform is based on international experience and will contribute to maximum coordination and refined operative response to incidents.

The newly created entity will provide relevant telephone services for ensuring efficient management and operative response to emergencies, in addition to 24/7 uninterrupted video surveillance throughout the country to prevent crime, attempts of crime, administering offenses and promoting road safety.

The Government of Georgia will carry on the endeavours for introducing modern technologies. Special attention will be paid to the development of national video surveillance and analytical systems.

✓ საერთაშორისო გამოცდილებისა და არსებული პრაქტიკის გათვალისწინება

აღნიშნული ინტეგრირებული მართვის მოდელი აპრობირებულია საერთაშორისო დონეზე, კერძოდ მექსიკაში, ბრაზილიაში, კატარსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში (ნიუ იორკი და ვილმინგტონი).

✓ BASING REFORM ON INTERNATIONAL EXPERIENCE AND BEST PRACTICES

The above mentioned integrated management model is widely approved worldwide – in Mexico, Brazil, Qatar and the United States of America (New York and Wilmington).

✓ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესება

ცენტრში შემოსული დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება, აღრიცხვა, ანალიზი და პრევენცია.

✓ ADVANCING FIGHT AGAINST CRIME

Processing, registering and analyzing crime-related information received by the Center to prevent crime.

✓ საგზაო უსაფრთხოების განმტკიცება

სატელეფონო ზარებისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემიდან მიღებული ინფორმაციის ერთიან სივრცეში თავმოყრა, საშუალებას მოგვცემს კომპლექსურად გავანალიზოთ შემოსული ინფორმაცია და საგზაო უსაფრთხოების მიმართულელებით ეფექტური სამუშაოები განვახორციელოთ.

✓ REINFORCING OF ROAD SAFETY

Unifying incoming calls and information received via video-surveillance systems will create the possibility for in-depth analysis of data and performing efficient activities regarding road safety.

✓ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა

ოჯახური ძალადობის შესახებ შემოსული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი. ოჯახური ძალადობის შემთხვევების ელექტრონული მონიტორინგი.

✓ EFFICIENT FIGHT AGAINST DOMESTIC VIOLENCE

Processing and analyzing incoming information about domestic violence, electronic monitoring of domestic violence cases.

✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტეგრირებული მართვის სისტემის შექმნა

ორი ცენტრის გაერთიანებით მივიღებთ გაძლიერებულ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც მუდმივად უზრუნველყოფს ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური სერ-

✓ CREATION OF AN INTEGRATED PUBLIC SAFETY MANAGEMENT SYSTEM

Merging two Centers will result in an enhanced structural unit, which will focus on implementing innovative and high-tech services, thus enabling the provision of refined and diverse services.

ვისების დანერგვას, რაც საშუალებას მოგვცემს გაუმჯობესებული და მრავალფეროვანი მომსახურება შევთავაზოთ მოქალაქეებს.

ინფორმაციის ერთიან სივრცეში თავმოყრით, საგანგებო სიტუაციების დროს მართვა იქნება უფრო ეფექტური. მას გააძლიერებს ორი სამსახურის გაერთიანებით მიღებული ტექნოლოგიური და საინფორმაციო მხარდაჭერა.

Aggregating information in one space, unifying technologies, and informative support will make emergency management more efficient.

✓ **კრიზისული სიტუაციების ეფექტური პრევენცია / მართვა**

ცენტრების გაერთიანებით მივიღებთ კრიზისული და სტიქიური მოვლენების ერთიან და ეფექტურ მართვის პლატფორმას. ინტეგრირებული მართვის მოდელი და ინფორმაციის ერთიან სივრცეში თავმოყრა, საშუალებას მოგვცემს გლობალურად დაგინახოთ კრიზისული სიტუაცია, გავანალიზოთ მოსალოდნელი შედეგები და დავსახოთ გადაჭრის გზები.

✓ **EFFECTIVE PREVENTION / MANAGEMENT OF CRISIS SITUATIONS**

The merger of the two Centers creates a unified and efficient platform for managing crises and natural disasters. Integrated management model and aggregation of information in one space enable viewing crises on a larger scale, analyzing expected results and identifying solutions.

✓ **მონაცემთა ეფექტური დამუშავება და ანალიზი**

საგანგებო სიტუაციებისა და სხვადასხვა შინაარსის დანაშაულის შესახებ ცენტრში შემოსული ინფორმაცია დამუშავდება და ანალიზისა და შემდგომი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე დაიგეგმება შესასრულებელი სამუშაოები როგორც საგზაო უსაფრთხოების, ასევე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში.

✓ **EFFICIENT DATA PROCESSING AND ANALYSIS**

Emergency and crime-related information will be processed. Based on the analysis and statistical data, a work plan will be elaborated in the field of road safety and crime prevention.

✓ **კერძო დასაქმებულთა სამინისტროს კონტროლი**

გაერთიანების შედეგად ახალი სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“, უზრუნველყოფს კერძო დაცვითი სამსახურის კონტროლს და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას, რაც გამოირიცხავს პრაქტიკაში არსებულ ინტერესთა კონფლიქტს დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან და კერძო დაცვითი სამსახურის განმხორციელებელ სუბიექტებს შორის.

✓ **CONTROL OF PRIVATE SECURITY SERVICE PROVIDERS**

As a result of the merger, a new entity – Public Safety Command Center 112 will control private security providing businesses and ensure their compliance with the standards. This will eliminate conflict of interest between MIA LEPL Security Police and private security companies.



საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი



PUBLIC SAFETY COMMAND CENTER



03

როგორ შეაფასებთ 112-ის მუშაობას? YOUR ASSESSMENT OF 112 PERFORMANCE?

” მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს 112-თან მუშაობა ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო. ეს ორგანიზაცია, უკვე რამდენიმე წლის მანძილზე, EENA-ს (ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაცია) მნიშვნელოვანი პარტნიორია და ჩვენთვის სასიამოვნოა იმის ცოდნა, რომ შეგვიძლია დავეყრდნოთ საქართველოს 112-ს, იქნება ეს ქართული დეველოპმენტის აქტიური მონაწილეობა ჩვენ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, თუ მათი წვლილი ჩვენ მიერ გამოცემულ დოკუმენტებში. ამგვარი აქტიური ჩართულობით, საქართველოს 112 მნიშვნელოვან როლს თამაშობს კოლეგა საგანგებო სამსახურებს შორის თავისი საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებაში და ამავდროულად თავადაც იღებს ინსპირაციას უცხოელი კოლეგებისგან.

ერთიანი გადაუდებელი ნომრის - 112-ის დანერგვა საქართველოში და ამ ორგანიზაციის მიერ გაწეული ძალისხმევა, რომ გაზრდილიყო ცნობიერება 112-ის შესახებ და მაქსიმალურად მისაწვდომი ყოფილიყო მოსახლეობისთვის, თვალსაჩინო ილუსტრაციაა იმისა, რომ საქართველოს 112 მუშაობს ხალხის უსაფრთხოებისთვის. გისურვებთ წარმატებებს!

დემეტრიოს პიროს
EENA-ს პრეზიდენტი



It has been great to work with 112 Georgia this year. For many years, the organisation has been an important partner to EENA and we are always pleased to count on the active participation of a delegation from 112 Georgia in the events we are organising and the documents we are publishing. By doing so, this organisation contributes to the sharing of best practices among emergency services, and can get inspired from what is done abroad. The successful introduction of the single emergency number 112 in the past years in Georgia, as well as all the efforts to make this service known and accessible to the population are notable illustrations of the commitment of 112 Georgia to make people safer and we wish all the success for the continuation of these efforts.

DEMETRIOS PYRROS
President of EENA

” ჩემი 112-თან თანამშრომლობის ხანგრძლივი გამოცდილება მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ეს სამსახური 24 საათიან რეჟიმში მალალი პროფესიონალიზმით ხრუნავს ადამიანების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და მათი სხვა უფლებების დაცვაზე. სამსახური მუდმივად ორიენტირებულია პროგრესზე და სერვისის გაუმჯობესებაზე.

დასაფასებელია ცნობიერების ამაღლების მიმართულებით სამსახურის მიერ გაწეული ძალისხმევა.

112, რომელიც წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფს, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში და დანაშაულისაგან გამოწვეული შედეგების თავიდან აცილებაში, დახმარებას უწევს არა მხოლოდ ამ სამინისტროს, არამედ ყველა საგანმრთლებელ სამსახურს (მათ შორის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს) და საქართველოში მცხოვრებ თითოეულ მოქალაქეს. 112-ში შემოსულ შეტყობინებებზე ოპერატიული რეაგირებით შესაძლებელი ხდება ძალიან ბევრი მძიმე შედეგის თავიდან აცილება.

112-მა, თავისი გამოცდილებითა და ელექტრონული სერვისებით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგანმრთლებელ მიმართულების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში, რისთვისაც მინდა დიდი მადლობა გადავუხადო სამსახურს და მის ხელმძღვანელს.“

ლონდა თოლორაია
სახელმწიფო ინსპექტორი



Having had the pleasure of working with 112 for a long period, I am confident to say that 112 works 24/7 protecting people's lives, health, and other rights. This entity is focused on progress and service improvement. The efforts, made by 112 to raise the awareness, need special recognition. 112, an entity under the Ministry of Internal Affairs of Georgia, plays an important role in fighting against and preventing the outcomes of the crime and supports not only the Ministry of Internal Affairs but also all the investigative units (including State Inspector Service) and each citizen of Georgia. By providing timely response to calls incoming in 112, a lot of fatal outcomes have been avoided. 112, through its experience and electronic services, has made a significant contribution to the establishment and development of the investigative direction of Inspector's Service. For this, I would like to express gratitude towards 112 and its management.

LONDA TOLORAIA
State Inspector

” შინაგანსაქმეთა სამინისტროს ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში შემოსული შეტყობინებების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი ხანძრებს და სხვადასხვა სახის სამაშველო ოპერაციის ჩატარების საჭიროებას ეხება. ჩვენი სამსახური მთავარი მორეაგირე უწყებაა ქვეყანაში საგანგებო სიტუაციების დროს. მეხანძრე-მაშველების საქმიანობის სფერო სცდება ადრე არსებულ ვიწრო სტანდარტებს და მოიცავს ისეთი მნიშვნელოვანი ტექნოგენური საფრთხეების დროულ აღკვეთასაც, რაც რეაგირების გარეშე შეიძლება ეროვნული დონის მასშტაბურ საშიშროებად გადაიქცეს. 112-თან კოორდინირებული თანამშრომლობის გარეშე, ჩვენთვის შეუძლებელი იქნება დროული რეაგირება მოგახდინოთ მოქალაქეების ყოველდღიურ გამოწვევებზე და დავებნართ ვეღვან და ვეღვა სიტუაციაში, როდესაც საფრთხე ექმნება მათ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ქონებას. სწორედ ამიტომ, სისტემის გამართული მუშაობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის და ჩვენი მოქალაქეების მშვიდობიანი ცხოვრებისთვის.

ასევე აღნიშნის ღირსია, რომ უცხოელი ტურისტები, განსაკუთრებით ისინი, ვინც ექსტრემალური ტურიზმით არიან გატაცებულნი, ყოველთვის უურადლებას აქცევენ გადაუდებელი დახმარების ნომერს. ტურისტულად აქტიურ პერიოდებში ხშირია შემთხვევები, როცა 112-ის და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ერთობლივი ძალისხმევით ხდება ტურისტებისთვის დროული დახმარების აღმოჩენა.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ოპერატიული მართვის ცენტრში შემოსული ყველა გამოძახება უმოკლეს დროში გადაეცემა ჩვენს სამსახურს, რასაც ადასტურებს მეხანძრე-მაშველების მყისიერი რეაგირება თითოეულ საგანგებო სიტუაციაზე. ასეთი კოორდინირებული მუშაობა კი ჩვენს სისტემას კიდევ უფრო აძლიერებს, რაც პირდაპირ აისახება მოქალაქეების უსაფრთხოებაზე.“

თაიშარაზ მღებრიშვილი

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი



A significant number of 112 calls are requesting the assistance of fire and rescue teams. Emergency Management Service is the lead entity in providing a relevant response during emergencies. Occupation of firefighters and rescuers goes beyond the previously accepted narrow understanding and covers the elimination of technogenic disasters, which, without relevant response, could potentially transform into a nation-wide large-scale disaster. Without coordinated cooperation with 112, it will be impossible to provide timely response to the everyday challenges that our citizens face, to protect their lives, health and property. Hence, the smooth operation of the system is crucially important both for EMS and for the safety of our citizens. It is noteworthy, that tourists, especially enthusiasts of extreme tourism, pay special attention to the emergency number. During high seasons we have had numerous cases when tourists were provided with timely assistance with the joint effort of 112 and EMS. It is extremely important that 112 immediately passes on the information about the incident to our units. Such a level of coordination advances our system and has a direct impact on the safety of our citizens.

TEIMURAZ MGBERISHVILI

Head of Emergency Management Service

” ვფიქრობ, რომ 112 საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო და წარმატებული სამსახურია.

112-მა შეძლო ქვეყანაში თანამედროვე, ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და მისი სწორად მართვა. ჩემთვის, როგორც საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორისთვის, სამუშაო პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი კომპონენტი - ოპერატიულობაა. ჩვენი თანამშრომლობის მანძილზე კი 112 საუკეთესო მაგალითია ოპერატიულობისა და კოლეგიალურობის.

მოხარული ვარ, რომ ასევე მოგვეცა შესაძლებლობა, ერთობლივი სამუშაო გაგვეწია საქართველოში "ProQA"-ს უმნიშვნელოვანესი პროგრამის დანერგვაში.

მეურა, რომ ერთად, სახელმწიფოსა და ჩვენს მოქალაქეებს კიდევ უფრო ძლიერ, გამართულ სისტემას შევუქმნით!“

ავთანდილ თალაკვაძე

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორი



112 is one of the most successful entities in the country, but it also carries a huge responsibility. 112 was able to establish and manage a modern, efficient system in the country. As Director of Emergency Situations Coordination and Urgent Assistance Center, I value timely response. Throughout our cooperation 112 has proved to be exemplary both in timely response and collegiality. I am glad that our Center, together with 112, was engaged in the process of implementing ProQA software in Georgia. I believe, that together we will provide our State and our citizens with a stronger and more efficient system!

AVTANDIL TALAKVADZE

Director of LEPL - Emergency Situations Coordination And Urgent Assistance Center of the Ministry of Internally Displaced Persons From the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia



”

112 ჩემთვის არის იმედი!

112 არის სიმშვიდე!

112 არის ერთგული დასაყრდენი!

112-ის სამსახური რომ გამართულად მუშაობს, ამაზე საუბარიც უხერხულია. ეს სტრუქტურა არის ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც აჩვენა მაღალი ხარისხი თავდაუზოგავი შრომისა და არაერთი ადამიანის სიცოცხლე იხსნა საფრთხისგან. გარდა სტრუქტურული საშუალებისა, არანაკლებ აღსანიშნავია ის საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებანი, რასაც აღნიშნული სამსახური ატარებს. სწორედ გატარებული საინფორმაციო კამპანიების შედეგად განახორციელეს ზარი, სახლში მარტო მყოფმა ჩემმა 11 წლის ტყუპებმა, დავით და ნიკოლოზ ტალახაძეებმა, როდესაც ბებო ცუდად გახდა. დავითის მიერ განხორციელებული ზარი შეფასდა და ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად, იგი გახდა 2019 წლის „112-ის გმირი“.

„112-ის გმირის“ ტიტულს დავითი ისე ამაყად ატარებს და ისეთი ემოციებით უზიარებენ სხვებს თავის ემოციებს ჩემი შვილები, რომ ზუსტად ვიცი, ამ თაობას არ დასჭირდება კარნახი, როდის და რა შემთხვევაში მიმართოს 112-ს, საიდანაც აუცილებლად ექნება შესაბამისი დახმარება.

მადლობა „112“-ს, იმისთვის რომ არსებობს და მადლობა მის თითოეულ თანამშრომელს, რომელთა მოთმინებისა და პროფესიონალიზმის წინაშე მე პირადად ქედს ვიხრი.“

თეა კიკაძე

„112-ის გმირი“ ბავშვის მშობელი, ქ. ბორჯომი



For me, 112 is a hope! 112 is serenity!

There is no doubt about the high quality of 112 performance. This is one of the first entities that displayed devotion and a high standard of performance, which saved numerous lives.

I want to underline the informative events organized by 112. Thanks to these campaigns my 11 years old twins – David and Nikoloz knew exactly what to do when their grandmother got chest pain and there was nobody at home except for them. Surprisingly for us, for this call, David was awarded the 112 Hero title.

David is more than proud to be the holder of this title. After visiting 112 Tbilisi Center, my sons were so thrilled and full of positive emotions, I am confident that this generation will know exactly when and how to contact emergency number, knowing they can always count on 112. I would like to express gratitude towards 112 and bow before each employee for their patience and professionalism.

THEA KIKADZE

Parent of “Hero of 112”, Borjomi



112 არის ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი სამსახური, როდესაც მძიმე და გადაუდებელი შემთხვევა გვაქვს, პირველ რიგში, სწორედ მათ ვუკავშირდებით. მინდა აღვნიშნო, რომ ამ სამსახურის მუშაობას, პირადად მე და ჩემ გარშემოც ძალიან ბევრი ადამიანი დადებითად ვაფასებთ.

112-ის ოპერატორები, 24 საათის განმავლობაში მზად არიან უპასუხონ ჩვენს ზარებს და დაგვეხმარონ.

გავიხსენებ ერთ შემთხვევას, როდესაც სხვა ადამიანის დასახმარებლად დავრეკე 112-ზე. ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, რამდენიმე თვეში დამიკავშირდა 112-ის წარმომადგენელი და შემატყობინა, რომ ჩემ მიერ განხორციელებული ზარით სხვა ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისთვის 112 მაჯილდოვებდა ზუგდიდის „საუკეთესო მოქალაქის“ სიგელით, რომელიც საზეიმო ვითარებაში გადმომცა იმ ოპერატორმა, ვინც ჩემი შეტყობინება მიიღო.

მადლობა 112-ს ოპერატიულობისთვის და ჩემი მოქალაქეობრივი პოზიციის დაფიქსირებისთვის.“

კეთევან ჯოლოხავა

„საუკეთესო მოქალაქე“, ქ. ზუგდიდი

”

112 is a very important entity for our country. Whenever we find ourselves in an emergency, the first entity we contact is 112. I want to point out that personally I, and I believe a vast majority around me, positively evaluate the performance of 112. Call Takers are ready to answer our calls and arrange emergency assistance 24/7.

I want to recall one story when I called 112 to help a friend. In a couple of months 112 representative contacts to let me know that I will be awarded the “Outstanding Citizen” award for making the call and saving the life. It is especially touching that I received my award from the Call Taker who handled my call.

I want to express gratitude for a timely response and for allowing me to express my opinion about 112 in the annual report.

KETEVAN JOLOKHAVA

“Outstanding Citizen”, Zugdidi



ინფრასტრუქტურული განვითარება და სამუშაო აირობების გაუმჯობესება

04

INFRASTRUCTURE DEVELOPMENT AND IMPROVING WORK ENVIRONMENT

სახელმწიფო პოლიტიკა

- უესტების ენაზე მოსაუბრე ოპერატორებს გაეზარდათ ხელფასები 800-დან 940 ლარამდე.
- თვის საუკეთესო ოპერატორები და დისპეტჩერები წახალისდნენ ფულადი ჯილდოთი.

WAGE POLICY


- Salary of Sign Language Call Taker was increased from 800 GEL to 940 GEL.
- The best Call Takers and Dispatchers of the months were awarded bonuses.

სამუშაო გარემოს გაუმჯობესება

- დისპეტჩერებისათვის გამოიყო ცალკე სამუშაო სივრცე.
- გაუმჯობესდა გათბობისა და გაგრილების სისტემა თბილისის ქოლ-ცენტრში.
- სეზონური მისხედვით განახლდა უნიფორმები, რომლებიც გადაეცათ, როგორც ქოლ-ცენტრის ოპერატორებს, ასევე ევაკუატორით მომსახურების სერვისისა და სასწავლო ცენტრის თანამშრომლებს.

IMPROVEMENT OF WORK ENVIRONMENT

- Separate workspace was allocated for dispatchers.
- The HVAC system was improved in Tbilisi Call Center.
- Call takers, employees of a Training Center and Breakdown Services received new uniforms for all seasons.



დავით თაბაგარის ფოტო | Photo by Davit Tabagari



05

პროექტები PROJECTS



112-ში ამერიკული პროგრამა ProQA დანიშნება 112 IMPLEMENTED AMERICAN PRODUCT – PROQA

ინციდენტის ტიპებისა და საქმის პრიორიტეტების განსაზღვრელი პროგრამა ProQA, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროტოკოლების საფუძველზე ოპერირებს, 112-ში დაინერგა. პროგრამას მინიმუმამდე დაჰყავს საქმის პრიორიტეტის განსაზღვრისა და რეაგირებისას ადამიანური შეცდომების რისკი. განსაკუთრებულად რთული შემთხვევებისთვის კი პროგრამა ავტომატურად აგენერირებს პირველადი დახმარების ინსტრუქციებს. აღნიშნული მითითებები ძალიან მნიშვნელოვანია ბრიგადის შემთხვევის ადგილზე მისვლამდე.

მიმდინარე წლის 1 ივლისიდან 112-ში 66 ტრენინგი ჩატარდა სახანძრო, სამედიცინო და საპოლიციო პროტოკოლების და პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით. გადამზადება გაიარეს როგორც ოპერატორებმა და დისპეტჩერებმა, ასევე 112-ის სხვა სამსახურების წარმომადგენლებმა. მიმდინარე წლის 12 დეკემბერს კი 112-მა მიიღო პირველი ზარი სახანძრო მიმართულებით.

პროგრამის მთავარი უპირატესობები:

- ამარტივებს ინფორმაციის დამუშავების პროცესს, რადგან ძირითადი შეკითხვები ზარის ინიციატორის მისამართით ლოგიკური თანმიმდევრობით ისმება. კითხვები პროგრამულად არსებობს და გამოდის უკრანზე წინა კითხვაზე პასუხის მონიშვნის შემდეგ მყისიერად;
- სწორად და შეუცდომლად განსაზღვრავს ინციდენტის პრიორიტეტებს, რადგან პასუხების მიხედვით, ადამიანის მონაწილეობის გარეშე ავტომატურად აფასებს შემთხვევის სიმწვავეს ყველა შემთხვევაში;
- პროგრამა აგენერირებს საქმის შესაბამის პირველადი დახმარების ინსტრუქციებს. აღნიშნული ინსტრუქციების მიზანია ოპერატორმა ინიციატორს გაუწიოს კონსულტაცია და თავიდან აარიდოს ფატალური შედეგი ბრიგადა-ეკიპაჟების ინციდენტის ადგილზე მისვლამდე.

სისტემა არსებობს 25 წელზე მეტია, 50-მდე ქვეყანაშია დანერგილი და სამი პროტოკოლისგან შედგება - საპოლიციო, სახანძრო / სამაშველო და სასწრაფო სამედიცინო.

საქართველოში სისტემის გამოყენება დაიწყო 12 დეკემბრიდან სახანძრო / სამაშველო პროტოკოლით და მომდევნო წლის გაზაფხულზე, საპოლიციო და სასწრაფო სამედიცინო პროტოკოლებიც სრულად იქნება ამოქმედებული.

112 has introduced incident type and case priority determining software ProQA, which works based on international standards compliant Medical, Fire and Police protocols. The software minimizes the inaccuracy during determining case priority, as well as a chance of human error during defining a relevant response. For particularly complex cases, the software generates first aid instructions, which can save a patient's life before the arrival of the emergency crews.

Since July 1st, 2019, a total of 66 trainings were held in Fire, Medical, Police protocols, and ProQA Software. The trainings were attended by not only Call Takers and Dispatchers but also by the representatives of other Units of 112. On December 12th, 2019, 112 received very first call using FPDS protocols and ProQA Software.

Main Advantages Of The Software

- Simplifies information processing as the key questions are input in a logical sequence. New questions are immediately displayed on the screen upon answering the previous question;
- While handling any call, software defines the case priority with high precision and automatically determines the severity of the incident;
- The software generates case-relevant first aid instructions. Instructions aim to guide the caller to avoid fatalities on the incident site before the arrival of the emergency crews.

The system has existed for more than 25 years. It is being used in up to 50 countries and consists of three protocols – Police, Fire, and Medical.

In Georgia the system was launched on December 12th with fire protocol. Police and medical protocols will be fully launched by spring 2020.

მოქალაქეებს უფრო მაღალი ხარისხის სერვისს. ცენტრის მუშაობის ხარისხი, გამოძახების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

Citizens will be offered higher quality service. Application of international standards in call handling will significantly raise the quality of the services delivered by the Center.

მობილური აპლიკაცია - 112GEORGIA MOBILE APPLICATION - 112GEORGIA

აპლიკაციის გაუმჯობესების მიზნით მუდმივად ხდება ახალი ფუნქციონალის დამატება.

- აპლიკაციის რჩევების ჩანართში პერიოდულად იდება სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული სასარგებლო ინფორმაცია. დაემატა ოჯახში ძალადობის ჩანართი, რომელიც მოქალაქეებს აცნობს ძალადობის ფორმებსა და მსხვერპლთა დახმარების სერვისების შესახებ ინფორმაციას.
 - აგრეთვე დაემატა ახალი კომპონენტი „თამბაქოს კონტროლი“. აღნიშნულ კომპონენტში დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს, მოიძიოს ინფორმაცია, როგორც თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის თაობაზე, ასევე თუ როგორ მოვიქცეთ, როდესაც ვხედავთ კანონდარღვევას, რა მავნე გავლენა აქვს თამბაქოს ჯანმრთელობაზე და როგორ დავანებოთ მოწვევას თავი.
- აღნიშნული ინფორმაცია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზეა ხელმისაწვდომი.
- მიმდინარეობს ინფორმაციის განახლება ბუნებრივი და სხვა კატასტროფების დროს მომზადებისა და რეაგირების თაობაზე.

With the aim of further refining the application, new features are continuously added to the application.

- "Useful Information" feature of the application gets periodically updated with interesting information about various topics. Recently, the application was enriched with information about domestic violence, which assists citizens in identifying different forms of violence and provides them with information about victim assistance services.
- Also, a new component on tobacco control was added, which informs users about the law on tobacco control, what to do if one witnesses violation of said law, what are the negative impacts of tobacco on a person's health and how to quit smoking. The information is available in Georgian, English and Russian languages.
- The information on preparing for and responding to the natural and man-made disasters is being updated.



მულტიფუნქციური რუკა MULTIFUNCTIONAL MAP



ინოვაციური და თანამედროვე ციფრული პროდუქტი ოპერატორებსა და დისპეტჩერებს შესაძლებლობას აძლევს რეალურ დროში დაინახონ არსებული მონაცემები, რუსურსი (ბრიგადა/ეკიპაჟების განლაგება/გადაადგილება/სტატუსი), რუკა საშუალებას იძლევა გაანალიზდეს არსებული ცხელი ზონები, ტრაფიკი, რაც ეხმარება ბრიგადა/ეკიპაჟების სწორ მენეჯმენტში.

An innovative and state-of-the-art digital product enables the Call Takers and Dispatchers to view existing data and resources (location of brigades/crews, track movement, status) in real-time. Furthermore, the map allows for analyzing hotspots and traffic, which simplifies the management of brigades/crews.

2020 წლიდან რუკა მოგვცემს საშუალებას შეიქმნას საქართველოს მასშტაბით არსებული ვითარების სრული ხედეა, ცხელი კერების (მეწეურსაში, ავარიული, ვირუსების გავრცელების და სხვ.) დროულად აღმოჩენის, მონაცემების ეფექტური ანალიზისა და სტატისტიკის წარმოების შესაძლებლობა.

From 2020, the map will enable the creation of a complete overview of the situation throughout Georgia, timely detection of hotspots (areas prone to landslide, road traffic incidents, virus dissemination, etc.), efficient analysis of the data and statistics.

რუკა უკვე მოიცავს 64 000-ზე მეტ ინფრასტრუქტურულ ობიექტს, რაც ასევე სასარგებლო იქნება კატასტროფების პრევენციისა და შემდგომი რეაგირების დაგეგმვის ეფექტურობის ამაღლებისათვის.

The map covers more than 64,000 infrastructure facilities. This data is especially important for preventing disasters and raising the efficiency of planning the relevant response.



სტუმრად 112-ში VISITING 112

2019 წლის ივლისიდან, „112“ თბილისის ცენტრში მოქალაქეებს „ღია კარის“ დღეზე მასპინძლობს. პროექტი, მოქალაქეთა ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო სერვისის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 112-სა და მოქალაქეებს შორის ახალსაკომუნიკაციო არხს წარმოადგენს. მოქალაქეებს საშუალება აქვთ, „112“-ის ხელმძღვანელ პირებს მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ თავად დაუსვან კითხვები. შეხვედრაზე სტუმრები, ოპერატორებისა და დისპეტჩერების მუშაობის სპეციფიკას ეცნობიან, ასევე, პრევენტაციის სახით, მიმდინარე და სამომავლო გეგმების შესახებ დეტალურ ინფორმაციას იღებენ.

აღნიშნული ღონისძიება 2019 წელს უკვე 4-ჯერ ჩატარდა და მომდევნო წელსაც გაგრძელდება. თითოეულ მოქალაქეს, მარტივი რეგისტრაციის შემდეგ, საშუალება აქვს ეწვიოს „112“-ის თბილისის ცენტრს. 112 მუდამ მზად არის უპასუხოს მოქალაქეების მიერ დასმულ შეკითხვებს და მიაწოდოს მათ ინფორმაცია ცენტრის სამუშაო სპეციფიკისა და ოპერატორთან თანამშრომლობის თაობაზე.



Since July 2019 112 Tbilisi Center has been hosting citizens at the Doors Open Day. The project is a new communication channel between 112 and the citizens, aiming to raise awareness among the public and fostering transparent and accountable public services. During the visits, citizens have the opportunity to ask the high officials of 112 questions about issues of their interest. Guests are made familiar with the work of Call Takers and Dispatchers and are informed about ongoing projects and plans.

Said event has been held four times in 2019 and will continue next year. Upon completing a simple registration, each citizen has an opportunity to visit 112 Tbilisi Center. 112 is always ready to respond to questions asked by the citizens and provide the public with information about how 112 works and how to cooperate with the Call Taker when reporting the incident.

ღია კარის დღე 112-ში DOORS OPEN DAY AT 112

112-ისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 112-ის თბილისის ცენტრმა 2019 წელს, ღია კარის დღეზე, სტუდენტებს 5-ჯერ უმასპინძლა. პროექტი გასულ წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ხორციელდებოდა. ეს თანამშრომლობა მომავალ წელსაც გაგრძელდება და არაერთ ახალგაზრდას მისცემს შესაძლებლობას აიმაღლოს ცოდნა და უნარები გადაუდებელი დახმარების მიწოდების შესახებ.

შეხვედრებზე სტუდენტები იღებენ ინფორმაციას 112-ის შესახებ და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლის მიერ პირველი გადაუდებელი დახმარების შესახებ საბაზისო კურსი უტარდებათ.

პროექტის მიზანია ახალგაზრდების ინფორმირება გადაუდებელი შემთხვევებისას ქცევის წესების შესახებ. სტუდენტები, კურსზე მიღებული ცოდნის შედეგად, გადაუდებელი შემთხვევების დროს, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფის მისვლამდე, დამოუკიდებლად შეძლებენ ახლოობლებისთვის საჭირო დახმარების აღმოჩენას.



In 2019, within the frames of a joint project of 112 and Georgian Red Cross Society, 112 Tbilisi Center has hosted 5 Doors Open Day event for university students. The project was implemented within the frames of the Memorandum of Understanding signed last year. The cooperation will continue next year and will provide youth with the opportunity to improve their knowledge and skills in providing emergency aid.

During the meetings, students are informed about 112 and the representative of Georgian Red Cross Society conducts a basic course on providing emergency aid.

The project aims to inform the youth about the rules of conduct during emergencies. Upon completing the course, attendees will be able to independently provide necessary assistance to the patients before the arrival of an ambulance.



112-ის სწავლების გაზრდა მოზარდებში

RAISING AWARENESS ABOUT 112 AMONG JUVENILES

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან თანამშრომლობით მიმდინარე წელს, 112-ის შესახებ მომზადებული 500 000 ცალი საინფორმაციო ფლაერი დარიგდა საქართველოს მასშტაბით, ყველა საჯარო სკოლაში.

In cooperation with the LEPL Office of Resource Officers of the Educational Institutions of Ministry of Education, Science, Culture and Sports of Georgia, in 2019, 500,000 information flyers about 112 Georgia were disseminated in all public schools throughout the country.

2019 წელს, 112-ს პროექტის - „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდა“ ფარგლებში, საჯარო და კერძო სკოლების 2000-მდე მოსწავლე ესტუმრა.

In 2019, within the frames of "Raising Awareness about Emergency Number among the Juveniles" project, up to 1,500 school students visited 112.

შეხვედრებზე მოსწავლეებს ნომრის სწორად გამოყენების შესახებ, ყველა საჭირო ინფორმაცია მიეწოდათ.

During the meetings, the representatives of 112 provide school students will all necessary information about using emergency number correctly.

მოზარდები ასევე გაეცნენ ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას, თუ რას ნიშნავს არამიზნობრივი ზარი და ცრუ გამოძახება და რა სანქციებია გათვალისწინებული მათი განხორციელების დროს.

In addition, school students are made familiar with what is considered as a non-emergency and false call and the types of sanctions envisaged for making non-emergency and false calls.



ბლოგი BLOG

2019 წელს, 112-ის ოფიციალურ Facebook გვერდზე, გამოქვეყნდა 7 ბლოგი, რომელიც თემატიკის მიხედვით იყოფა ორ ნაწილად - 112 გისმენთ და 112 გირჩევთ.

In 2019, 112 official Facebook page featured 7 blog-posts in two major categories: "112Listening" and "112Recommending".

#112გისმენთ: ბლოგი მოიცავს განსაკუთრებული შემთხვევების შესახებ ისტორიებს, რომლის საშუალებითაც მოსახლეობას ვუზიარებთ ინფორმაციას, იმ სირთულეების თაობაზე, რომელთან გამკლავებაც ოპერატორებს ყოველდღიურად უწევთ.

#112Listening: Blogs under this category tell special stories that display the difficulties the Call Takers face daily.

#112გირჩევთ: ბლოგების ამ კატეგორიაში ერთიანდება სასარგებლო რჩევები როგორ მოვიქცეთ და რა უნდა ვიცოდეთ ბუნებრივი კატასტროფების, საგზაო უსაფრთხოების თაობაზე - შესაბამისი რეკომენდაციებით.

#112Recommending: Blogs under this category share useful tips on how to act during natural disasters, as well as recommendations regarding road safety.

2019 წელს, ბლოგებს 140.000 ადამიანი გაეცნო. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში გაიზარდა 112-ის ფეისბუქის გვერდის გამომწერთა რაოდენობაც და 61.000-ს გადააჭარბა.

In 2019, blog-posts reached a total of 140.000 Facebook users. It is notable that during the reporting period, the number of 112 Facebook page followers increased significantly and exceeded 61.000.



უცხოენოვანი ზარების ეფექტური მართვა

EFFICIENT MANAGEMENT OF FOREIGN-LANGUAGE CALLS

- 112-ის სამუშაო ელექტრონულ პროგრამაში (ERC Phone) 2019 წლის I კვარტალში, დაემატა უცხოენოვანი ზარების გადამისამართების ახალი ფუნქციონალი, რამაც უფრო მოქნილი გახადა უცხოენოვანი მომხმარებლის მომსახურება.
- საანგარიშო პერიოდში 61.895 ზარი გადამისამართდა და გაეწია შესაბამის ენაზე მომსახურება. აქედან, 53.458 ზარი იყო რუსულენოვანი, დანარჩენი ინგლისურენოვანი.
- ამერიკის საელჩოსთან თანამშრომლობითა და PH International-ის ორგანიზებით, 2019 წელს, ინგლისურ ენაში სპეციალურად მათთვის შექმნილი პროგრამით, 112-ის 64 ინგლისურენოვანი ოპერატორი გადაზადდა, პროგრამა დაფუძნებულია გადაუდებელი დახმარების ოპერატიული და მაღალი ხარისხით მართვის საჭიროებებზე.

112-ისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების (საპოლიციო და საგანგებო/სამაშველო დახმარების) სერვისების თაობაზე მოქალაქეთა კმაყოფილების ხარისხის შეფასებისა და მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, 2019 წლის ოქტომბრიდან, 112-მა მომხმარებელთა გამოკითხვა დაიწყო. გამოკითხვა ხორციელდება სამი სხვადასხვა არხის საშუალებით - სატელეფონო, ვებგვერდი (www.112.ge) და მობილური აპლიკაცია (112Georgia).

სატელეფონო გამოკითხვით სამ თვეში ერთხელ 4.500-მდე მოქალაქის გამოკითხვა ხორციელდება. ვებგვერდსა და მობილურ აპლიკაციაში მსურველებს, მუდმივად აქვთ საშუალება დააფიქსირონ საკუთარი აზრი.

მოქალაქეთა განწყობისა და მათი შეხედულებების შესწავლა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, 112-ს ეხმარება მომსახურების გაუმჯობესებაში.

